ცნობის ფურცელი

№ 2255 ხუთშაბათი, 4 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2255

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-148 №-რი

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს. (ნ. 0—14)

კბილის ექიმმა

ალ. სოლოღაშვილმა

გაანახლა ავადმყოფების მიღება. მიხეილის ქუჩა, № 32 (10—1)

რედაქციისაგან

მოვაგონებთ ხელის მომწერთ, რომ ვინც ადრესის გამოსაცვლელად დაწესებულ ფასს (50 კაპ.) არ წარმოადგენს, მას გაზეთს ახალის ადრესით ვერ გავუგზავნით. (რ. 2—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—1)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10

ა. ზ. მალალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მალალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიამინოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. მუშა ხალხის მეთაურებმა წერილით პროტესტი გამოაცხადეს ბაჟების დაწესების წინააღმდეგ. ამ პროტესტში ნათქვამია:

„იაფი საჭმელი და იაფი ხამი დაუმუშავებელი მასალა მთელის ჩვენის ერისათვის და ნამეტნავად მუშა ხალხისათვის დიდად სასარგებლო იყო. ამიტომ ჩვენ ვშურობთ, რაც შეიძლება ჩქარა, ინგლისის თავისუფალი ვაჭრობა დავიცვათ და სატამოჟნო რეფორმის წინააღმდეგ პროტესტი გამოვაცხადოთ. ამას წინად მთავრობამ პურზე ომის დროს დროებით დადებული ბაჟი თითონ მოსპო. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მთავრობა ბაჟების დაწესებას არას დროს აღარ მოინდომებდა. მაგრამ ეს იმედი ჩემბერლენმა გაგვიცრუა: მინისტრმა გამოაცხადა, კოლონიებიდან მოტანილ საქონელს შეღავათიანი ბაჟები უნდა დაედოსო. დიდი საფრთხე ემუქრის ჩვენს ხალხს. საზოგადო არჩევნის დროს ჩემბერლენი პროტექციონიზმსა და ბაჟების დაწესებას ლოზუნგად გაიხდის. ყველამ კარგად ვიცით, ჩვენს დროში მთელს ქვეყნიერობაზე ჩემბერლენივით მოხერხებული და გასატებული აგიტატორი არსადაა. ჩემბერლენს კარგად ესმის თავის პროექტის ეკონომიური სისუსტე, ამიტომ მინისტრი პატრიოტულ გრძნობასა და ლარიბების შველას ატანს ძალას. პატრიოტებს ჩემბერლენი იმპერიის გამაგრებას და გაერთიანებას ჰპირდება, ღარიბებს—მცირე პენსიის დაწესებას მოხუცებულ მუშებისათვის. ჩემბერლენს უნდა ესმოდეს, რომ ბაჟების დაწესებით ვერც იმპერიას გააერთიანებს და ვერც პენსიებს დააწესებს, მხოლოდ სხვა ერებს გადაგვკიდებს და ჩვენ ხალხს გაჭირვებაში ჩააგდებს. ჩვენ მშრომელი ხალხის სახელით პროტესტს ვაცხადებთ ბაჟების დაწესების წინააღმდეგ, რადგან ბაჟები ცხოვრებას გააძვირებს, ვაჭრობას შეაფერხებს, სამუშაოს შეაცოტავებს და ტრესტების (დიდ სამრეწველო კამპანიების) განვითარებასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელსა. ვიწვევთ პროგრესის ყველა მეგობარს, წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც კი თავისუფლად ვაჭრობის მოსპობასა, ან დამახინჯებას მოინდომებს; რაც უნდა მოხერხებულადა და ოსტატურად შედგენილი პროექტი წარმოგვიდგინონ, მაინც პროგრესის ყველა მეგობარი მოვალეა თავისუფალი ვაჭრობა დაიცვას, რადგან თავისუფალ ვაჭრობის დროს სამუშაო ქირას მოემატა, საჭმელ-სასმელი გაიაფდა და მთელის ხალხის ყოფაც თვალ-საჩინოთ გაუმჯობესდა.

პროტესტზე პარლამენტის 12 დეპუტატს უწერია ხელი, ინგლისის კოოპერატიულ საზოგადოების 16 დირექტორს, შოტლანდიის კოოპერატიულ საზოგადოების 7 დირექტორს, კოოპერატიულ მწარმოებელ ფედერაციის კომიტეტის 8 წევრს, ტრედ-უნიონების 404 უმთავრეს მდივანსა და უმთავრესს მოხელეებსა და სხვ.

ქალ. გლასგოში იქით კვირია შაბათს შოტლანდიის 239 კოოპერატიულ საზოგადოების და 101 ტრედ-უნიონის 600 დელეგატმა თათბირი მოახდინა და დაადგინა, თავისუფალი ვაჭრობა მედგრად დავიცვათო. ეს დელეგატები 250 ათას მუშის წარმომადგენლები იყვნენ.

მაკედონია. „ტან"-ს სწერენ სტამბოლიდან: მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორის ხილმი-ფაშის უკანასკნელმა მოხსენებამ მეტად დააფიქრა ოსმალეთის მთავრობა. ხილმი-ფაშა ატყობინებს მთავრობას, მაკედონიაში ეხლა სულ 25 ათასი აჯანყებული იქნება და რაზმებმა ისევ მხნედ დაიწყეს მოქმედებაო.

◆ „ავტონომია" იუწყება, ბიტოლიის ვილაეტში აჯანყებულნი უმთავრესად მორიოვოს მთაში მოქმედებენ. ოსმალეთის ჯარიც უმთავრესად ამ მთის ადებას ცდილობს. აჯანყებულთ ამ მთის მიუვალ ადგილებში აქვთ შენახული იარაღიცა და სამხედრო სურსათიცაო. „ავტონომია" ირწმუნება, აჯანყებამ ბიტოლიის სამხრეთ-დასავლეთის მხარესაც იფეთქაო: 20 სოფელი აჯანყდა, 1,500 კაცი მიემატა რაზმებს. ოსმალები ამ ადგილებში ჯერ ვერ შესულან. აჯანყებულთ ყველგან უკუ-აქციეს ოსმალთ ჯარიო.

◆ სოფიიდან სწერენ „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ს: ბიტოლიის ვილაეტი მეტად დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ადგილობრივ ბოლგარებს ევროპიელი კონსულები ვერაფერ დახმარებას ვერ უწევენ; კონსულები თავიდან იშორებენ მომჩივრებს და უმთავრეს ინსპექტორ ხილმი-ფაშასთან ჰგზავნიან. კონსულები მეტად მორიდებით იქცევიან. თითქმის შინიდან გარედ არ გამოდიან.

◆ „ბერლინერ ტაგებლატ"-ს არა სჯერა ბორის სარაფოვის სიკვდილის ამბავი. გაზეთი იხსენიებს, ხშირად დაჰყარეს ამნაირი ხმები, მაგრამ სარაფოვი ყოველთვის ისევ ცოცხლდებოდა. შეიძლება, რომ სარაფოვს თითონვე გაევრცელებინოს ეს ხმაო.

◆ მონასტირის ვილაეტში კოსტურას ახლო, 7 ოსმალოს ბატალიონმა აჯანყებულთ ძლიერ რაზმს წრე შემოავლო. აჯანყებულნი პოპოვის უფროსობის ქვეშ იყვნენ. რამდენისამე საათის ბრძოლის შემდეგ, ოსმალებმა აჯანყებულნი დაიმორჩილეს. ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ამდენ აჯანყებულს ერთად იარაღი დაეყაროს. დაჰყარეს თუ არა იარაღი, ოსმალები მისცვივდნენ და აჯანყებულთ უმოწყალოდ ხოცვა დაუწყეს. 200-მდე კაცი მოჰკლეს, 100 მძიმედ დასჭრეს, დაატყვევეს და კოსტურში გაჰგზავნეს. გზა-და-გზა ტყვეებს თურმე საშინლად სტანჯავდნენ.

◆ ვატიკანში რამდენისამე დღის განმავლობაში თათბირი ჰქონდათ, კათოლიკე ეკლესიის მეთაური როგორ უნდა მოიქცეს მაკედონიის საქმეშიო. კარდინალებში ბევრმა გამოთქვა ის აზრი, რომ პაპმა ყველა სახელმწიფოს მმართველს მაკედონიისათვის დახმარება უნდა სთხოვოსო. მაგრამ პაპი პიო X მარტო ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსებს მისწერს წერილს და აუხსნის, კათოლიკე სარწმუნოების სახელმწიფოებმა რომ მაკედონიაში სისხლის ღვრა შეაყენონ, ეს დიდად სასარგებლო იქნება კათოლიკე ერებისათვისაო.

ბოლგარია. „ბირჟევია ვედომოსტი"-ს სწერენ სოფიიდან: აქ ახალი ამბები მოვიდა, აჯანყებულნი რამდენსამე ბრძოლაში დამარცხდნენო. აქაური ხალხი მეტად აღელვებულია. კვირა დღეს დიდ კრებას გაჰმართვენ და სამინისტროს პროტესტს გამოუცხადებენ: ოსმალეთის ჯარმა მრავალჯერ მოურიდებლივ ბოლგარიის საზღვარი გადმოიარა და ჩვენი სამინისტრო ამაზე კრინტსაც არა სძრავსო.

◆ ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ"-ის სოფიელი კორესპონდენტი სწერს: მაკედონიელთა წრეების აზრით, ბოლგარიას აუტანელი გაჭირვება ადგია. თუ სახელმწიფოები საქმეში არ გაერევიან ან ორის თუ სამის კვირის განმავლობაში მაკედონიას სხვანაირად არ დაამშვიდებენ, ბოლგარიაში მეტად საშინელი და საზარელი სამოქალაქო ომი ასტყდებაო.

სერბია. აქაურ ოფიცრების არეულობის თაობაზე „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი სწერს: „სერბიის ჯარში სულ 2 ათასი ოფიცერი იქნება. ამათგან მეფის ალექსანდრეს წინააღმდეგ გამართულ შეთქმულობაში მხოლოდ 85 კაცი ერია. იმ ოფიცრებმა, რომლებიც მეფე ალექსანდრესთან ყველაზე მეტად იყვნენ დაახლოვებულნი და იმის წყალობით სარგებლობდნენ, თითიც არ გაანძრიეს მეფის საშველად: ისიც დიდ ღვთის წყალობად მიაჩნიათ, რომ თითონ გადარჩნენ ცოცხლები. ამიტომ ამ ოფიცრებმა პირველში ხმის ამოღებაც ვერ გაბედეს მეფის მკვლელების წინააღმდეგ. მაგრამ დრო გავიდა, ოფიცრებმა დაინახეს, რომ ახალი მეფე პეტრე, ალექსანდრე მეფის მკვლელებს წყალობის თვალით უყურებდა და ყველა კარგ და ხეირიან ადგილებს იმათ აძლევდა. ოფიცრებს ჯავრი მოსდიოდათ ამაზე, ბოლოს მოთმინებიდანაც გამოვიდნენ და მეფის მკვლელ ოფიცრების სამსახურიდან გადაყენება მოითხოვეს. ეს ოფიცრები უმთავრესად იმ ბრალსა სდებენ მეფე ალექსანდრეს მკვლელებს, რომ ამათ სერბიის ოფიცრებს სახელი გაუტეხესო. სერბიელ რადიკალების გაზეთი „უსტავნა სრბიია" უპასუხებს ამაზე: „სერბიის ოფიცრების პატიოსანი სახელი ადრევე გასტეხეს იმ კაცებმა, ვისაც სერბიის ჯარში უმაღლესი ადგილები ეჭირათ; შეთქმულმა ოფიცრებმა სახელი კი არ გაუტეხეს, პირიქით, დიდი ლაქა მოაშორეს სერბიის ოფიცრებსაო."

ახალი ამბავი

◆ „კავკაზ."-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განცხადება: „2 სექტემბერს ყარსში, დილის 10½ საათზე, მთავრობის მიერ დანიშნული მოხელენი შეუდგნენ სომეხთა ეკლესიების სურპ-ნიშანისა და ღვთის მშობლის ქონების მიღებას. ზარის ხმაზე შეიკრიბა დიდძალი სომხობა. ხალხი სურფ-ნიშანს შემოერტყა, ბევრი სახლის თავებსა და მეზობელ სახლებში იყო. როდესაც პოლიციამ და საპოლიციო დარაჯმა მოითხოვა, დაიშალენითო, ხალხმა პასუხი ქვებისა და რევოლვერების სროლით გასცა. მალე ეკლესიაში მოვიდნენ საპოლიციო დარაჯის დანარჩენი ნაწილები, ოლქის უფროსი და ორასი ყაზახი ესკის რაზმისა პოლკოვნიკის კვიცინსკის უფროსობით. ხალხი უფრო ბევრი მოგროვდა და ახლად მოსულებსაც ქვებისა და რევოლვერის სროლით მიეგება. რადგან ხალხმა პოლიციის მოთხოვნილება არ შეასრულა და არ დაიშალა, დარაჯი იძულებული შეიქნა კანტი-კუნტად გაესროლა თოფები, რის შემდეგაც ყაზახების დახმარებით ხალხი განდევნილ იქმნა მოედანსა და სახლებიდან. ამ დროს მოედანზე მოვიდა მეციხოვნეთა რაზმის ერთი როტა. ერთი საპოლიციო დარაჯი დაიჭრა და რამდენიმე კაცი დაშავდა. ხალხიდან ერთი მოჰკლეს და ორი დაიჭრა. ღვთისმშობლის ეკლესიასთანაც ქონების მიმღებთ დიდძალი სომხობა

დაუხვდა, მაგრამ ჯარმა ისე გაჰფანტა, რომ იარაღი არ იხმარა. დააპატიმრეს 77 კაცი, ამათში ორი მღვდელია. ქონების მიმღებთ აწერეს და მიიღეს საეკკლესიო სახლები“.

◆ „პრავიტ. ვესტ.“-ის მე-194 ნომერში ხელმეორედ დაბეჭდილია ის ცვლილებანი, რომელიც უწმ. სინოდის გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს **საქართველოს საეგზარხოსოს სკოლების** მართვა-გამგეობის საქმეში. ჩვენ ეს ცვლილებანი დაბეჭდილი გვქონდა 4 და 5 აგვისტოს ნომრებში.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა საპენსიო კასის** წესდება შესცვალეს. ამიერიდან მოსამსახურეთ აღარ მიეცემათ შეგროვილი ფული (რომელსაც თვე და თვე ჯამაგირიდან უჭერენ) ხელში, თუ არ დაიმსახურეს დადებული ვადა 25—30 წლამდის. არ მიეცემათ ფული მაშინაც, სამსახურს რომ თავის დაანებონ.

◆ კვირას, 7 სექტემბერს, ნ. კ. **ზუბალაშვილის სახელობაზე განზრახულ შეუძლოთა სახლის საძირკველს** ჩაჰყრიან და პარაკლისს გადაიხდიან. სახლს აგებენ ქალაქის პირველ ნაწილში, პატარა და დიდ სუდებნი ქუჩების კუთხეში.

◆ ამ ათის წლის წინად ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ნიკოლაძემ აღძრა საკითხი ტფილისში **საქალაქო ბანკის დაარსების შესახებ.** ამ საკითხის შესახებ შემუშავებული პროექტი ქალაქის გამგეობამ გადასცა თავ. ჩერქეზიშვილს და დაავალა გადასინჯოს და თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს.

◆ თავ. ი. დადიანის **მოკვლის შესახებ გვატყობინებენ:** „თავ. დადიანი ორის მხლებელით შინისაკენ მიდიოდა. ბოროტ-მოქმედთ მხლებელნიც მოუკლავთ და წაურთმევიათ ყველაფერი, რაც-კი ჰქონიათ; თითქმის ტანისამოსიც-კი გაუხდიათ და წაუღიათ. ერთს მხლებელს ოთხი საათი კიდევ უცოცხლია და სიკვდილის წინ განუცხადებია, ერთი მკვლელთაგანი ვიცანიო და გვარიც დაუსახელებია. თავ. დადიანი ამას წინად მაზრის წინამძღოლის კანდიდატად იქმნა არჩეული“.

◆ **თელავიდან გვწერენ:** დიდი ხანი იყო, რაც თელავის მაზრაში საქონლის ჭირი არა ყოფილა და ეხლა ისევ მოუბრუნდა. გომბორის საძოვრებზე, „მუხიან გორა“-ზე, საქონელს რაღაც ჭირი გასჩენია. მაზრის ადმინისტრაციამ ბეითალი გაჰგზავნა გამოსაკვლევად და აღმოჩნდა, რომ სენი საქონლის ჭირია. კიდევ კარგი, თუ ბარად არ ჩამოვიდა, თორემ დიდად შეუშლის ხელს მუშაობას.

◆ ურიათუბნელ **მღვდლის ან. ჩქურიაშვილის მოკვლის** გამო, როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგია, ორი კაცი შეუპყრიათ— ივანე დათუნაშვილი და კირილე რუსიშვილი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა დაავალა ქალაქის აგენტებს წარუდგინონ 1880 წლიდან დაწყებული **დარჩენილ დასაფასებელ გადასახადების** ძველი სიები. როგორც ქალაქის გამგეობის საქმეებიდანა სჩანს, 1900 წელს ქალაქის გამგეობას ეს სიები პოლიციისთვის გადაუცია, მაგრამ, რადგან ფული ვერ მოუკრებიათ, ქაღალდები უკანვე დაუბრუნებიათ. ეხლა აგენტებს ევალებათ შეუდგნენ დარჩენილ გადასახადების მოკრებას.

◆ განჯის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, როგორც ნამდვილად გავიგეთ, 13000 მანეთი-კი არა, 5000 **მანეთი გაუფლანგავს.**

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება გურიის **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „შუამხვალისა“.**

◆ დღეს, 4 სექტემბერს, **გორში მიემგზავრება** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია სხვა და სხვა საქმის განსახილველად. სესია გორში დარჩება 13 სექტემბრამდე. დღეს თიანეთშიაც მიემგზავრება სასამართლოს მეორე სესია და დარჩება იქ 10 სექტემბრამდე.

◆ ბათუმის **საქალაქო ინჟინრად დაინიშნა** ინჟინერ-ხუროთ-მოძღვარი სიმონსონი.

◆ **საბებიო ინსტიტუტს** ამ ბოლო დროს იმდენი მშობიარე მიაწყდა, რომ თავისუფალი ადგილი აღარც ერთი აღარ არის თურმე.

◆ როგორც „ნოვ. ობოზ.“ გადმოგვცემს, რევიზიას აღმოუჩენია, რომ რკინის გზის ტფილისის სადგურის კასსაში **ფული გაუფლანგავთ.**

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი **„კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“**, აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი მოზრდილია და ღირს ათ შაურად.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის დამფასებლებს შეუდგნენ იმ დუქნებისა და სადგომების დაფასებას, რომელიც ქალაქმა უნდა შეისყიდოს სირაჯხანის ქუჩის გასაფართოებლად.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის დამბარდის გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაიჩქაროს არტელის დაწესება დამბარდისათვის.

◆ 3 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქის კონსტანტინე სერგიენკოსა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1903 წლის 9 მარტს, ღამე, მადათოვის კუნძულზე, ცეცხლის გაჩენის დროს, იუდა ფელდმანის მაღაზიიდან მოიპარა ერთი მაკრატელი და სამი ქუდი. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო სერგიენკო და გადაუწყვიტა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

◆ როგორც პირველ ღამის თავშესაფარის გამგის აგვისტოს თვის შესახებ ანგარიშიდანა სჩანს, აგვისტოს თავშესაფარში ღამის გასათევად მისულა 1150 მამაკაცი და 132 დედაკაცი. რუსი ყოფილა 525 კაცი, სომეხი—590, ქართველი—114, თათარი —30, პოლონელი—22 კაცი.

◆ გუშინ, 3 სექტემბერს, ავჭალის ქუჩაზე, ტრამვაის ცხენები დადგნენ და ველარ გაიწიეს. თითქმის 10 წამი იდგნენ, სანამ მეოთხე ცხენი არ მოაშველეს. მგზავრთა შორის გაისმა უკმაყოფილება. კარგს იზამს პირუტყვთა მფარველი საზოგადოება, თუ ყურადღებას მიაქცევს ამ ტრამვაის ცხენებს.

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ როგორც გავიგეთ, ამ თვის დამლევს უნდათ მოახდინონ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელზედაც უნდა აარჩიონ თავად-აზნაურთა გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლნი, დეპუტატები, იმათი თანაშემწენი და სხ., იმათ ნაცვლად, რომელნიც ამას წინად არ დაამტკიცა მთავრობამ, რადგან არჩევნები უკანონოდ იცნო. სექტემბერსა და ოქტომბერში არჩევნების მოხდენა, ჩვენის აზრით, მოუხერხებელია: ამ თვეებში სოფლელი თავად-აზნაურობა მთელი წლის საზრდოს ამზადებს და არჩევნებისათვის არა სცალიან, ასე რომ არჩევნებს შეიძლება დაესწროს მხოლოდ ქალაქში მცხოვრებნი და მთელის წოდების ბედ-იღბალი იმათ გადასწყვიტონ.

◆ ქუთაისის ნოქრებმა თითქმის ყველამ დასტოვეს მაღაზიები. როგორც გავიგეთ, იმათ გამოუტანიათ ქალაქის გამგეობიდან იმ თხოვნის პირი, სადაც ვაჭრები და ნოქრები შეთანხმებით თხოულობდნენ კვირა-უქმე დღეებში სავაჭროების დაკეტვას მთელის დღით. ამ თხოვნის პირს ახალ თხოვნასთან ერთად ნოქრები თურმე გუბერნატორს უდგენენ.

შინ და გარეთ

3.

გუშინ ერთმა სტუდენტმა შემომჩივლა— თავად-აზნაურთა კომისიამ ცუდათ გაანაწილა სტიპენდიებიო.

— ვერა, ვერ მოქცეულან კარგად; ცხადი უსამართლობა ჩაუდენიათ!

— იმგვარი საქმე, როგორც სტიპენდიების განაწილებაა, არ შეიძლება უსაყვედუროდ გადაწყდეს. მომდურავი და მომჩივანი უთუოდ იქნება ვინმე.

— არა; განა მე პირადობას ვეხები: ამას რათ მისცეს და ამას რათ უთხრეს უარი. მე მოგახსენებთ განაწილების პრინციპებზე, რომელთაგან ზოგიერთი დასაგმობია. უსამართლობა ამ მხრივ გამოიჩინეს, თორემ პეტრეს მისცეს თუ პავლეს, ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

— მაინც, რომელი „პრინციპი“ არ მოგეწონათ?

— აი თუნდ ის, რომ საზღვარ-გარედ მოსწავლე სტუდენტებს სტიპენდია არ უნდა დაენიშნოსო. ვითომ რათაო? განა ყველას შეუძლია რუსეთის უნივერსიტეტში შევიდეს. ან იქნება უცხოეთში განათლების მიღება მავნებლად მიაჩნიათ? არ მესმის, რა მოტივებით უხელმძღვანელნია კომისიას ქართველ ახალგაზრდობისათვის საზღვარ-გარედ სწავლის საშუალება მოუსპია!

— არც მე მესმის სწორედ, მაგრამ სანუგეშო ის არის, რომ ეგ მომავალს ეკუთვნის და შეიძლება შემდეგში გასწორდეს; მეტი რა ღონეა, ამ ერთ წელიწადს ნურავინ წავა საზღვარ-გარედ.

— რასა ბრძანებთ, რას მიქვია მომავალი! უბედურება ის არის, რომ იმათაც არ მისცეს, ვინც უკვე სწავლობს საზღვარ-გარედ. მაგალითად, სტუდენტს ჯაფარიძეს ეძლეოდა სასკოლო კომიტეტისაგან სტიპენდია, თავად-აზნაურთა კომისიამ-კი უარი უთხრა: ან მოკვდი მანდ შიმშილით, ან აქ ჩამოდიო.

— საკვირველია. იქნება გაიგეთ, რატომ უნებებიათ ასე კომისიის წევრებს?

— მითხრეს ერთი მოტივიც, მაგრამ არა მჯერა. ამბობენ, ვითომც კომისიას ეთქვას: ცუდი რამ არ იფიქრონო, რომ თავად-აზნაურობა საზღვარ-გარედაც ჰნიშნავს სტიპენდიასო...

— მესმის. მეტად ღრმა პოლიტიკური მოსაზრება ჰქონიათ და აბა რაღა გვეთქმის.

— შემდეგ, იმერ სტუდენტებისთვისაც უთქვამთ უარი: თქვენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ უნდა აღმოგიჩინოსთ დახმარებაო. ეს როგორ-ღა მოგწონთ?

— ამ შემთხვევაში კომისიას გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს: ბანკის წესდება გვეუბნება, მოგება ტფ. გუბერნიის მცხოვრებთ უნდა მოხმარდესო.

— ეგ ხომ ფორმალური თავის მართლებაა! განა სირცხვილი არ არის მხოლოდ მაგგვარ საბუთით უარი ეთქვას იმერ—ახალგაზრდას; ისიც მაშინ, როდესაც კომისიამაც კარგად იცის, რომ ქუთ. თავად-აზნაურობის ბანკს ღონისძიება არა აქვს სტიპენდიები დაუნიშნოს ვისმეს?!. აი დასაწუნი პრინციპები, რომლებითაც კომისიამ იხელმძღვანელა. გარდა ამისა ერთი გარემოებაც უნდა მოგახსენოთ, თუმცა წეღან გითხარით—პირადობას არ შევეხები მეთქი: მაინცა და მაინც არც ის მომწონს, რომ ექიმს ლუკა ჯავახიშვილს დაუნიშნეს შემწეობა.

— ამის შესახებ-კი არ გეთანხმები, ყმაწვილო. ჯერ ერთი, რომ ჯავახიშვილს სესხი დაუნიშნეს და არა შემწეობა; მეორეც ის, რომ ჯავახიშვილს არავისთვის შეუშლია ხელი: რაც სტიპენდიებისთვის იყო დანიშნული, ის სულ სტიპენდიებზე გაანაწილეს, ჯავახიშვილს-კი სხვა წყაროდან აღმოუჩინეს დახმარება სესხის მიცემით. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჯავახიშვილი სერიოზული მეცადინია და კარგა ხანია მოწადინებულია საზღვარ-გარედ წავიდეს საექიმო საქმის ერთ დარგის შესასწავლად.

— რა-კი ეგ ასეა, მაშ ამ მხრით კომისიას ვერ დავემდურებით. სხვა ჩემი ბრალდება-კი მართალია და ამიტომ ისევ იქა ვარ და ვამტკიცებ—თავად-აზნაურთა კომისია ვერ მოიქცა კარგად. თუ რამე რიგიანად გადაწყვიტეს, ისიც თურმე დიდის ყოყმანისა და კამათის შემდეგ: კომისიის ორიოდე ახალგაზრდა წევრს ბევრი „რეჩი“ დაუხარჯავს გლეხებისა და ქალების სასარგებლოდ. ზოგიერთი ბობოლა დიდი წინააღმდეგი იყო თურმე: გლეხის შვილთა და ქალებს რათ უნდათ უმაღლესი განათლებაო!...

— მაგას-კი ვერ დავიჯერებ სწორედ!

— არც მე მჯერა მაინცა და მაინც, თუმცა—si non e vero, ben trovato!...

გან.

რუსეთის ქრონიკა

—

◆ ვარშავის ციხის ახლოს უნახავთ გვამი პოლონეთის მწერლის ნიკოდიმ კრაკოვსკისა, რომელსაც ბევრი ნაწერები აქვს პოლონურ ენაზე პოლიტიკო-ეკონომიურ შინაარსისა. გამოძიება სწარმოებს.

◆ „ოდესსკი ნოვოსტი“-ი იუწყება, რომ ივლისში ნიკოლაევში მომხდარ არეულობა-

ფელეტონი

—

თავი მოიკლა

(ნათარგმნი)

ჩვენ დროში აღარც კი ღირს იმაზე ლაპარაკი, „რაც მე უნდა მოგითხროთ“. თავის მოკვლა თითქო ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა. ეხლა ყოველი სქესი, ხარისხი თუ წლოვანობა, განურჩევლად—დიდი თუ პატარა თავს იკლავს. ამ საშინელ შემაძრწუნებელ სიქციელს ადამიანი ისე შეეჩვია, რომ აღარაფრად აგდებს. კარგად-კი რომ ჩაუკვირდეთ, დავინახავთ, რომ სასოწარკვეთილებამდე კაცი მიჰყავს რაიმე დიდ, შეურიგებელ სულის კვეთებას ან აუტანელ მდგომარეობას.

ჩემი ბაასიც აქედან იწყება: 17 წლის ყმაწვილმა, გიმნაზიის მოწაფემ, თავი მოიკლა. საზოგადოდ იმანაც ის ხერხი იხმარა, რასაც უმრავლესობა ხმარობს. რევოლვერი მიირტყა საფეთქელში. მხოლოდ იმან სხვასავით უბრალო ბარათის მაგიერად („გთხოვთ არავის არ დააბრალოთ ჩემი სიკვდილიო“) მოულოდნელად დიდის შინაარსის წერილი დასტოვა...

„ძვირფას დიდედას!“ წერილი დიდედის სახელზე იყო. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, რაც უნდა გულქვა და უგრძნობელი კაცი იყოს, მაინც შეეცოდება და სიბრალულს იგრძნობს იმ ბავშვის მიმართ, რომელმაც ღვთისა და მსოფლიო კანონი გადალახა. ყოველს ბწკარში, თითქმის ყოველს სიტყვაში უზომო გულკეთილობა, გრძნობიერება და სინიდისი იხატება, თანაც უზომო მარტოობა, აუტანელი სულის კვეთება, ტანჯვა, მღრღნელი მისი სულისა და გულისა. ეს რამდენიმე სტრიქონი იმის წერილისა, რომელიც ეხლა ხელთა მაქვს, იმდენად თვალ საჩინო მოვლენაა, რომ მინდა გავუზიარო მკითხველს...

„ძვირფასო დიდედა!“—ასე იწყება წერილი.—„მაპატიეთ, რომ ესოდენ დიდი მწუხარება მოგაყენეთ, მაგრამ მაინც, დღეს თუ ხვალ, ასე გათავდებოდა. მაშ სულ ერთია. რაც უნდა ღონე მეხმარა, იმაზედ კარგად ვერ ვისწავლიდი, როგორც ვსწავლობდი. ვსწავლობდი-კი ძალიან ცუდად. თქვენ და ჩემს დებს მთლად გაღარიბებდით. რაც უნდა ვცდილიყავ, გიმნაზიას ვერ გავათავებდი.“

შემდეგ: „ვიდრე იმდენი არ მესმოდა და არა ვგრძნობდი, უკანასკნელის თქვენის ლუკმითა და ჯანით ვსარგებლობდი, მაგრამ ეხლა ვგრძნობ, რომ ჩემთვის შეუძლებელია, თქვენ გაგაღატაკოთ“.

მერე ამბობს საბრალო ყმაწვილი: არ იფიქროთ, რომ თავი იმისთვის მოვიკალი, რომ მეხუთე კლასის ეგზამენი ვერ დავიჭირეო.

„უცბად გავიფიქრე თავის მოკვლა: იმ მიზეზისა გამო, რომ თქვენ არ შემეწუხებინეთ, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ამით შეგიმსუბუქებთ მწუხარებას, როცა ჩემს შეუდრეკელ სურვილს გეტყვით,—თუ ეხლა არა, თქვენის სიკვდილის შემდეგ მაინც ასე მოვიქცეოდი“...

შემდეგ დებს მიჰმართავს: „ჩემო ძვირფასო ზინა, გთხოვ შენდა ეცნიას, რომ დიდედას როგორმე შეუმციროთ შრომა, თორემ არც თქვენთვის არის კარგი, რომ მაგ ხნის მოხუცს წამი არა აქვს მოსვენება. 70 წლის მოხუცი ყველაფერს აკეთებს. აბა, დაფიქრდით, დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც სამწუხაროა მაგ ხნის ადამიანის ტანჯვა. ეხლა ხომ ნაკლები ხარჯი გექნებათ, მაშ მზარეულის დაჭერა შეგეძლებათ“.

ბოლოში მიწერილია: „ძვირფასო დიდედა, სურათი გადვიღე და თუ გსურთ, გექნებათ ჩემი სურათი იმ ბარათით, რომელსაც ჩემს პორტმანში იპოვნით. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო დიდედა; გკოცნით უთვალავად“.

აგრეთვე ბებიასა სთხოვს უბედური ყმაწვილი, რომ იმის მაგივრად უკანასკნელად ყველას აკოცოს.

მაშ **სინდისი** ყოფილა დამღუპველი კეთილისა და მოსიყვარულე ყმაწვილისა. ვიდრე ის ბავშვი იყო, არაფერი არ ესმოდა და არცა ზრუნავდა, მაშინ სინიდისიც გაყუჩებული იყო. სწავლობდა ისე, როგორც შეეძლო და თავისი „ძვირფასი დიდედაც“ საშინლად უყვარდა, სიკვდილი მაშინ აზრადაც არ მოსდიოდა. როგორც კი მოიზარდა და შეიგნო თავისი მდგომარეობა, მას შემდეგ უმანკო და წმინდა სინიდისის ხმა მოსვენებას არ აძლევდა გულკეთილ ყმაწვილს. 70 წლის მოხუცი „ძვირფასი დიდედა“ მუდამ იმის გულისათვის იღწვოდა, შრომობდა და იტანჯებოდა. მოსამსახურეც და მზარეული ქალიც ის იყო სახლში. „ძვირფასი დიდედა“ რამდენს გაჭირვებას იტანს იმის გამო. დებსაც ალატკებს მოსწავლე, სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ შესძლებს, რამდენისამე წლის შემდეგ მაინც დააჯილდოვოს ისინი თავისის შრომით. დარწმუნებულია, რომ არ ძალ-უძს კარგად სწავლა.

მუდამ ამ გვარ ფიქრებით იყო გარინდებული. ხშირად კიდეც ესმოდა „ძვირფას დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მონაწილეთა საქმეს ოდესსის სამოსამართლო პალატა გაარჩევს წოდებრივ წარმომადგენელთა დასწრებით. სამართალში სულ 23 კაცი მიუციათ, რომელნიც ამ ჟამად საპყრობილეში არიან.

◆ გამოცხადებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ მოსკოვის იმ ნაწილებში, სადაც ქარხნებია გამართული, არც ერთი წიგნის მაღაზია არა ყოფილა. ქალაქის შუა-გულ ადგილებში გახსნილი წიგნის მაღაზიები-კი მუშებისათვის ხელ-მისაწვდენი არ არიან, რადგან იმ დროს ჰკეტავენ მათ, როცა ქარხნებში მუშაობა თავდება. კვირა-უქმე დღეებში წიგნის მაღაზიები ყველგან დაკეტილია.

◆ როსტოვის ადგილობრივ კლუბში საცეკვაო სალამო გაუმართავთ და ცეკვის დირიჟორად პოლიციის ბოქაულის თანაშემწე გამოსულა. საზოგადოებას პროტესტი გამოუცხადებია, არ გვინდა პოლიციელის დირიჟორობაო, არ ვიცეკვებთ, სანამ თავს არ დაგვანებებსო.

◆ ძლიერ გამრავლდნენ ამ ბოლო დროს რუსეთში მონასტერ-ეკკლესიებისათვის ფულის ყალბი შემკრებლები. „ბაკინსკი იზვ."-ს სწერენ სტანიცა პროხლადნოიდან, რომ იქაც ფარფაშობენ ეს ვაჟბატონები, წვრილი ხმით გაიძახიან დამწვარ-დაქცეულ ეკკლესიების ამბავს, აგროვებენ უვიც და გულუბრყვილო ხალხში ფულს და მერე სალამოზე ერთად თავ-მოყრილნი ლოთობენ გათენებამდის. ერთს ამ გვარ ფულის შემკრებელს ქურდობის დროსაც მიასწრეს, სცემეს და განაძევეს სოფლიდან გლეხებმა.

◆ მიწათ მოქმედების სამინისტრო შეუდგა სხვა-და-სხვა ერობებისაგან წარმოდგენილ შუამდგომლობათა განხილვას უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. სასწავლებელთა დაარსებას ითხოვენ ყაზანის, კურსკის და ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობანი. უკვე რამდენჯერმე აღუძრავთ შუამდგომლობა ნეჟინის საფილოლოგიო ინსტიტუტის უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ.

◆ მთავრობის წრეებში აღუძრავთ საკითხი იმ არსებულ კანონების გადასინჯვის და შეცვლის შესახებ, რომლებითაც განსაზღვრულია მიწით საზოგადო სარგებლობის უფლება. ჰსურთ გააადვილონ ადგილების გამიჯვნა და გაყოფა, გააიაფონ აქტები წვრილ საკუთრების გაყიდვა-გადაცემისა და გაცვლის შესახებ იმ განზრახვით, რომ ნაწილ-ნაწილ დაყოფილ მამულების გაერთიანებას ხელი შეუწყონ.

◆ „პერმ. კრაი"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ: „ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ამ წერილის საშუალებით აცნობოთ „პერმ. კრაი"-ს მკითხველებს, რომ ჩვენ შესაძლოთ არა ვსთვლით განვაგრძოთ ამ გაზეთში თანამშრომლობა მას შემდეგ, რაც ძირეულად შეიცვალა ამ ბოლო დროს გაზეთის გამოცემის საქმე, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო." წერილზე ხელი უწერია გაზეთის ათ თანამშრომელს.

პრესსა

ჩვენს დროში თავის მოკვლის განზრახვაც ბოროტ მოქმედება ყოფილა, რომლისთვის სასამართლო სჯის დამნაშავეს. ბაქოს მომრიგებელ-მოსამართლეს გაურჩევია ერთის ამ გვარ „ბოროტ-მოქმედის" საქმე, რომელიც მოთხრობილია გაზ. „ბაკინსკ. იზვ."-ში.

მომრიგებელ-მოსამართლე ალიშევიჩს, ზღვის პირად სეირნობის დროს უნახავს ბაზრის სიახლოვეს ვიღაც ყმაწვილი კაცი, რომელიც რკინის გზის რელსებზე იჯდა თურმე. ამ დროს ბაქოდან საქონლის მატარებელი მოდიოდა. რამდენიმე წამი... და მატარებელი უეჭველად გასრესდა საბრალოს, ალიშევიჩს რომ არ მოესწრო და ხელის კვრით არ ჩამოეგდო ყმაწვილი კაცი ლიანდაგიდან. ამ მომრიგებელმა-მოსამართლემ თითონ უბრძანა პოლიციელებს, დაეკავებინათ მისგან გადარჩენილი ყმაწვილი კაცი, თითონ შეადგინა ოქმი, თითონ განიხილა ეს საქმე და შემდეგი განჩინება დაადგინა: გადახდეს ბ-ნ გოტჰარდტს (დამნაშავის გვარია) 50 მან. ჯარიმა რკინის გზის წესების დარღვევისათვის და, თუ შეძლება არა აქვს, ათი დღით დაპატიმრებულ იქნასო. გოტჰარდტს არავითარი შეძლება არ ჰქონია და ციხეში ჩაუსვამთ.

აღმოჩნდა, რომ გოტჰარდტს სიღარიბის გამო მოეწადინა თავის მოკვლა. გულ-ჩვილ მოსამართლეს, ჰგავს, იმიტომ გამოუგლეჯია სიკვდილის კლანჭებიდან შიმშილისაგან თავგანწირული ყმაწვილი კაცი, რომ კანონის კლანჭებში ჩაეგდო.

⁂

ლ. ნ. ტოლსტოის „ბირჟ. ვედ."-ის თანამშრომელთან ლაპარაკის დროს შემდეგი უთქვამს.

გთხოვთ, ნურაფერს დასწერთ იმის შესახებ, თუ როგორ ვატარებ დროს, რასა ვსვამ და რასა ვჭამ, რა სიტყვები წამომცდება ხოლმე... ამას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. წინააღმდეგ, მავნებელიცაა ყველა ეს. მე ვიცი, რომ ჩემ ნაწერსა და ნათქვამს ყურადღებას აქცევენ, კითხულობენ. მერე განა არ შეიძლება, რომ ცოცხალ მუსაიფის დროს სახლში, ოჯახში, მხოლოდ მეგობრებ შორის, რამე სახუმარო სიტყვა წამომცდეს, მოუფიქრებლად ვთქვა რამე ზოგჯერ სისულელეც კი, რომელიც საწყენად დაურჩება ვინმეს? ამ ჩემ წამონასროლ სიტყვას იმ წამსვე ხელში ჩაიგდებენ, ჰბეჭდავენ, მთელ ქვეყანას შეატყობინებენ ხოლმე. მე ამის ძალიან მეშინია, ვშფოთავ, ვიტანჯები.—ბატონებო, ხომ იცით, რომ თითონ მე შემიძლია წერა, ვწერ ჩემ ნაფიქრსა და ნაგრძნობს, რაც ჩემ გულში მტკიცე რწმენადაა გადაქცეული.—მე თვითონ დავსწერ და დავბეჭდავ ჩემ აზრებს. რაღას მერჩით, რა გინდათ ჩემგან? ხშირად იძულებული ვარ ხოლმე დავიმალო, დავდუმდე, არაფერი ვსთქვა,—ყველა ეს ძლიერ სამძიმოა ჩემთვის.

შემდეგ, ლაპარაკის დროს, „ბირჟ ვედ."-ის თანამშრომელს უთხოვია ტოლსტოისათვის ავტოგრაფი, მისი ხელით დაწერილი სიტყვები, ერთის საქველ-მოქმედო მიზნით გამოსაცემ ალბომისათვის.

არ ვიციო,—უპასუხა ტოლსტოიმ...—არ შემიძლია. ვინც ერთ-ორ მანათს დახარჯავს ამ ალბომისათვის, ღარიბებისათვის კი არ დახარჯავს, არამედ თავის სიამოვნებისათვის. ყველა ეს მხოლოდ ჰრყვნის საზოგადოებასა და თვით ქველმოქმედთ, აჩვევს იმათ ღარიბთა დასახმარებლად სასიამოვნო შემთხვევათა—ბალების, საცეკვაო სალამოების, ალბომების და ლოტერიების—ლოდინს. ერთი პირდაპირი, პირადი, გულწრფელი დახმარება, ადამიანის სულის ნამდვილ სიკეთის გაგვიმხელს, თანდათან ზრდის ადამიანის სულში ზნეობრივი პასუხის მგებლობის გრძნობას, ასწავლის მას, რომ თვითეული ჩვენგანი და ყველანი საერთოდ პასუხის მგებელნი ვართ თვითეულ და ყველა უბედურებისა და უსამართლობისათვის, რომელთაც ცხოვრებაში ვხედავთ. აქედან იბადება ნამდვილი გრძნობა მოვალეობისა, ნამდვილი კეთილშობილება.

თეატრი

თავ. ა. ი. სუმბათაშვილის ახალ პიესას, რომლის შინაარსიც საქართველოს ძველ ცხოვრებიდან არის აღებული, სახელად „ღალატი" ჰქვიან.

სახალხო წარმოდგენების ქართული სექცია გვთხოვს დავბეჭდოთ: „სექცია უმორჩილესად სთხოვს როგორც ძველ სცენის მოყვარეთ, ისე ყველას, ვისაც ჰსურს მომავალ სეზონში მონაწილეობა მიიღოს, მობრძანდეს შაბათს, 6 სექტემბერს, სალამოს 5 საათზე, სახალხო კითხვების აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზე".

სარდუმ ნება დართო ინგლისელ ლიბრეტისტს თავის კომედია „მადამ სან-ჟენ"-ი ოპერეტად გადააკეთოს. მუსიკას სწერს კარილდი. ახალ ოპერეტას პირველად ლონდონში წარმოადგენენ. „მადამ სან-ჟენ"-ს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს.

2 სექტემბერს საგუბერნიო გამგეობის ტეხნიკოსებმა დაათვალიერეს თავად-აზნაურთა თეატრი. ტეხნიკოსებმა სცნეს, რომ ცეცხლის მხრივ თეატრი საშიში არ არის.

სოფ. **ახალ-ქალაქი.** ამ ზაფხულს აქ სცენის მოყვარეებმა ოთხი წარმოდგენა გამართეს. პირველი წარმოდგენის შემოსავალი დანიშნული იყო მუდმივ თეატრის გასამართავად. მეორე წარმოდგენა გაიმართა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. მესამე წარმოდგენა კი მსახიობმა ბ. ვ. აბაშიძემ გამართა. აქაური საზოგადოება წარმოდგენებს ყოველთვის დიდის სიხარულით ეგებება და მხურვალე მონაწილეობას იღებს. მეოთხე წარმოდგენას დარჩა შვიდი თუ რვა თუმანი. სულ კი წარმოდგენებს დარჩა 17—18 თუმანი. ეს ფული, როგორც გავიგე, ინახება შემნახველ გამსესხებელ კასსაში, სანამ თეატრის შენებას შეუდგებოდნენ.

გ. გეშანარი

ლანჩხუთი. 31 აგვისტოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „მსხვერპლი მსხვერპლისათვის" და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი". წარმოდგენამ ძლიერ სუსტად ჩაიარა. როლების უცოდინარობა ყველას ხელს უშლიდა. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო და უკმაყოფილო დაბრუნდა სახლში.

ვინმე

წერილი ქუთაისიდან

საკონკურსო ეგზამენები ქუთაისში და იმათი შედეგი.—სასწავლებელთა სიმცირე.

არსად, ვგონებ, ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ისე ძლიერ არა სცდილობენ მშობელნი შვილების აღზრდას, როგორც დასავლეთ საქართველოში. ყველანი იმის ცდაში არიან, რომ მოათავსონ როგორმე შვილები სასწავლებელში და ამისთვის დიდ ხარჯსაც ეწევიან, თუმცა-კი წვრილ-წვრილად და შეუმჩნევლად. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ასობით და ორასობით მაინც უნდა ვიანგარიშოთ თვითეულ ბავშის მომზადება წელიწადში. ამას კიდევ ვინ იდარდებდა, რომ ხარჯს რაიმე კეთილი შედეგი მოსდევდეს და მშობლები თავიანთ გულითად სურვილს ისრულებდნენ. წელსაც, როგორც ყოველთვის, მოაღწია თუ არა საკონკურსო ეგზამენების სეზონმა, მოაწყდა ქუთაისის სასწავლებლებს ყოველის მხრიდან აურებელი ხალხი. დილის შვიდი საათიდან დიდნი და პატარანი მიეშურებოდნენ სხვა და სხვა სასწავლებელში, ზოგი გიმნაზიებში, ზოგი რეალურ სასწავლებელში, ზოგი ქალაქის სკოლებში, ზოგი სათავად-აზნაურო სკოლაში, სხვანი კიდევ საქალებო სკოლებში და სხვ. ერთის სიტყვით, იმოდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ქუჩებში გვერდს ვერ შეუქცევდი. ზოგიერთ პატარა ყმაწვილებს თავიანთი ოსტატებიც თან მისდევდნენ სკოლებში გასამხნევებლად და დარიგების მისაცემად გამოცდის დროს. იმათ შორის შენიშნავდით მასწავლებელ ქალებს, სოფლის მასწავლებლებს, სემინარიელებს, გიმნაზიელებს და სტუდენტებსაც. რომელ სასწავლებლის ეზოშიც უნდა შეგეხედნათ, ყველგან ერთნაირი სურათი წარმოგიდგებოდათ თვალ წინ: სკოლის მიდამო სავსე იყო ხალხით და ყველანი გულის ფანცქალით მოელოდნენ საყვარელ შვილების ბედის გადაწყვეტას, მხოლოდ პატარებს შორის ადვილად შეამჩნევდით დიდ განსხვავებას: ზოგნი თამამად და მხიარულად იყვნენ, ცელქობდნენ კიდეც და სულ რუსულად ჟღურტულობდნენ. ცხადია, ესენი ქალაქელი ყმაწვილები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც სრულიად არ ეუცხოვებოდათ არც ქალაქი, არც სკოლა და არც ფორმაში გამოჭიმული მასწავლებლები. უეჭველია, ისინი მომზადებულიც უკეთესად იქნებოდნენ საომრად. სულ სხვა გვარ სურათს წარმოადგენდნენ სოფლებიდან ჩამოყვანილი ყმაწვილები: იმათ არც სითამამე ეტყობოდათ, არც მხიარულობა და ვერც ცელქობას ჰბედავდნენ, რადგან იმათთვის ყველაფერი უცხო იყო. პირიქით მშობლებს ვერ ჰშორდებოდნენ და ბევრს ჩოხის კალთაშიაც ჩაევლო ხელი.

ცხადია ყველასთვის, ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული იმ გაჯიბრებიდან, რომელსაც „კონკურსს" ეძახიან. ეგზამენებმა სულ სამი-ოთხი დღე გასტანა და 28 აგვისტოსათვის ყოველივე გათავდა. გათენდა 28 აგვისტო და მშობლები კვლავ გაეშურენ სკოლისაკენ, რათა გაეგოთ თავიანთ შვილების ბედის გადაწყვეტა. დილის ათი საათი იყო, როცა ქუთაისის სასეირნო ბაღი ანუ ბულვარი სხვა და სხვა მხრიდან მომავალ ხალხით აივსო. მომეტებული ნაწილი ჩოხოსნები იყვნენ, რომელთაც თან მოზდევდნენ თვალ-ცრემლიანი შვილები. მშობლებს დიდი დაღონება ეტყობოდათ, ბედს სწყევლიდნენ და ხმა მაღლა იღონძღებოდნენ კიდეც. სწორედ გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ქუთაისის ბულვარი. ხშირად ასეთ სიტყვებსაც გაიგონებდით: „არ მეგონა, თუ ბავშვი ასე კარგად დაიჭერდა ეგზამენს, ყველაფერში სამ-სამი მიიღო და მაინც უარი მითხრეს,—ადგილი არა გვაქვსო! მაშ რაღათ ჩამოგვიყვანეს ამ სიშორიდან?" „ჩემ ბალღს ისეთი რამეები ჰკითხეს, რაც პროგრამაში არ არის ნაჩვენები. ყველაფერი თუ სცოდნოდა, მაგათ რაღად მოვუყვანდი, ბატონო! „ე ბანკის სკოლაც რომ გაჭედილი ყოფილა ბავშვებით და ადგილი არ არის, რა გვეშველება!?" ყვიროდა მესამე. ასეთი სამწუხარო ამბები ხდება ჩვენსკენ ყოველ წელს და, ვგონებ, უკვე დროა, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჩვენმა საზოგადოებამ ასეთ უნუგეშო მდგომარეობას და რაიმე წამალი გამოსძებნოს.

ქუთაისში, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს: ვაჟთა გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, ორი საქალაქო სკოლა, დედათა სასწავლებელი წმ. ნინოსი, ქალთა კერძო პროგიმნაზია, სათავად-აზნაურო სკოლა, სამეურნეო სკოლა და რამდენიმე კერძო მოსამზადებელი კლასები. მაგრამ ერთი ორად რომ იმატოს აქაურ სასწავლებელთა რიცხვმა, მაინც კიდევ ვერ დააკმაყოფილებს ყველა მსურველს. ორმა აქაურმა კერძო სასწავლებელმა ითხოვა წელს მეოთხე კლასის მომატების ნება, რადგან ძლიერ საჭირო იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი უთხრეს.

წყალტუბელი

ქუთაისის ქალაქის საბჭო

1 სექტემბერს დაიწყო ქალაქის საბჭოს კრებები. ორის თვის შესვენების შემდეგ „ქალაქის მამებმა" პირველად მოიყარეს თავი გამგეობის დარბაზში, მაგრამ ყველას რაღაც სიზანტე ეტყობოდა—უთუოდ ძლიერ განებივრებულან ორის თვის განმავლობაში. ამ დღეს დანიშნულ 14 საქმეში ძლივს განიხილეს 7 საქმე. პირველად საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება, ეტლში შებმულ ან საქონლის გადამზიდავ ცხენებს, კამეჩებსა და ხარებს მოუმატოს გადასახადი. აქამდე თითო ცხენზე იხდიდნენ ოთხ-ოთხ მანეთს წლიურად, თითო კამეჩზე—სამ-სამ მანეთს. გამგეობა თხოულობს, რომ თითო ცხენს დაედოს წლიური გადასახადი 8 მანეთი, თითო კამეჩს, ხარსა და სხვა ბარგის მზიდავ საქონელს—ხუთ-ხუთი მანეთი. საბჭომ კენჭის ყრით მიიღო გამგეობის მოხსენება. მერე განიხილეს გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის ასენიზაცია გადაეცეს იჯარით კერძო პირს. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ქალაქი ყოველ წელს ზარალობს თურმე ამ საქმეში 300—1200 მანეთამდის. ხმის უმეტესობით გადასწყდა, რომ დაინიშნოს იჯარობა და ასენიზაცია გადაეცეს კერძო პირს. ამასთან დამის 11 საათის ნაგვ-

---

დედის" საყვედური და ჩივილი თავის უბედურს იღბალზედ. სინიდისი განუწყვეტლად ჰქენჯნიდა საბრალო ყმაწვილს. მარტოდ-მარტო იტანჯებოდა, მაგრამ ამ გვარს სულის კვეთებას ვერც სკოლა ამჩნევს და ვერც ოჯახი. ბოლოს ველარ აიტანა ტანჯვა და სთქვა: კმარა ამდენი წამება „ძვირფასი დიდედასი" და გალატაკება ჩემის დებისა. ჩემის სიკვდილის შემდეგ შეუმსუბუქდებათ ტანჯვით ცხოვრება...

17 წლის ყმაწვილი, ძალ-ღონით აღსავსე, მოსიყვარულე, გულ-კეთილი ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ მტარვალმა ფიქრებმა დაიმონავეს და უდროოვოდ გამოათხოვეს წუთის სოფელს. ყოვლად კეთილის, მაღალი სულის და სინიდისით სავსე ყმაწვილს-კი შეეძლო თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანა იმ საზოგადოებისათვის, სადაც სცხოვრობდა.

ჩვიდმეტის წლის ყმაწვილი რადა ჰგრძნობდა მარტოობას? ნუთუ ვერავინ მიხვდა, რამ გამოიწვია უზომო სულის მღელვარება და სინიდისის ქენჯნა? საზოგადოდ ადამიანის სული ყველასათვის დაფარულია, არავის ეინტერესება, უყურადღებოდ რჩება ჩვენს ცხოვრებაში. სწორედ ისიც სულით მარტო და ობოლი იყო. საბრალო ყმაწვილი სასწავლებელში ეინტერესებოდათ მხოლოდ როგორც მოწაფე, ოჯახშიც—როგორც მახლობელი არსება, რომლისთვისაც იმდენს ზრუნავდნენ, რომ ეჭმიათ და ესმიათ; მარტო იმ აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, კარგად ესწავლა და ჩქარა გაეთავებინა.

უბედური ყმაწვილი! ოჰ, ღმერთო ჩემო, იმდენი ყურადღება რომ მიექციათ იმის აღშფოთებულ სულის-ღელვისათვის, რამდენ ყურადღებასაც აქცევდნენ იმის გიმნაზიის დღიურს, სადაც სწავლის ნიშნები იყო აღნიშნული, მაშინ უსათუოდ შთააგონებდნენ, დაამშვიდებდნენ, უცნაურს ხიფათს გადაარჩენდნენ და იმის ფაქიზ, განსპეტაკებულს სულს სასურველს გზაზე დააყენებდნენ. ადვილად შეიძლებოდა შთაგონება მოსიყვარულე გულის ყმაწვილისა; ჩვენ სინიდისი გვავალებს სწორედ სასარგებლო გზას დავადგეთ და არა იმას, რომელიც უბედურმა ამოარჩია. კიდევ ვიმეორებ, საბრალო 17 წლის ყმაწვილი სულით ობოლი იყო. იმანაც, როგორც ბევრმა და ბევრმა სხვამ, ვერ შეძლო ბრძოლა სულით მარტოობასთან. დაიღუპა ყმაწვილი, ძალით და ღონით სავსე.

იცოდეთ, მკითხველნო, კიდევ უთვალავი მსხვერპლი ადგას მაგისთანა გზას, კიდევ ბევრია სასოწარკვეთილებამდე მისული... ნუ დავტოვებთ ამათ, ჩავიხედოთ იმათ სულის სიღრმეში და ვეცადოთ, რომ ობლად და მარტოთ არა ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს..

მოგზაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად ასენიზაციის ურმებმა მუშაობა უნდა დაიწყონ 12 საათიდან. საბჭომ შეიწყნარა ქალაქის მეფურნეების თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ. აქამდე იღებდნენ თვეში 10—11 მანეთამდის; ეხლა-კი, თანახმად ქალაქის გამგეობის დასკვნისა, საბჭომ მოუმატა თვეში თითო მანეთი. მიტროფანე ლაღიძე თხოულობდა, რომ საბჭოს ქალაქის ბაღში დაეთმო იმისთვის 50 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა 18 წლით შემდეგის პირობით: ა) ქალაქს უნდა გაუკეთებინა ის ორი ბუდკა, რომელიც ეხლა ბაღშია; ბ) ბაღის შუაგულში ბ-ნ ლაღიძეს უნდა აეშენებინა ლამაზი პავილიონი, სადაც გაიყიდებოდა ხელოვნური და მინერალური წყლები; იქვე ექმნებოდა უფასო სამკითხველო, რომლისთვისაც გამოიწერდა 24 სხვა-და-სხვა პერიოდულ გამოცემას; პავილიონი განათებული იქმნებოდა ელექტრონით; ბაღში 15 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე, დღეში არა ნაკლებ 4 საათისა, უნდა ჰკვროდა მუსიკა. 18 წლის შემდეგ-კი მთელი პავილიონი უნდა გადასცემოდა ქალაქს საკუთრებად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ სთხოვა ქალაქს სადგურის აგარაკში, რკინის გზის ლიანდაგისათვის, ქუთაისიდან მესამე ვერსზე, 600 ოთხ-კუთხი საჟენი ტყიანი მიწა, მეოთხე ვერსზე-კი 1485 საჟენი—600 მანეთად დესეტინა. ქალაქის გამგეობას ეს ფასი ძლიერ მცირედ უცვნია და დაუდგენია, რომ მესამე ვერსზე თითო ოთხკუთხი საჟენი გაიყიდოს 2 მანეთად, ხოლო მეოთხეზე—თითო მანეთად. საბჭომ ეს საკითხი შემდეგ სხდომისთვის გადასდო, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი აღარ იყო. შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობა გამგეობის წერილებზე არავითარ პასუხს არ იძლევა და არც საქმეს იწყებს, თუმცა ვადა დიდი ხანია გავიდაო, და საჭიროდ სცნო, ამხანაგობასთან დადებული პირობა დაირღვეს და იმისგან წარმოდგენილი გირაო ქალაქის საკუთრებად გადავიდესო. საბჭომ საჭიროდ დაინახა ამ საქმის გამოსარკვევად აარჩიოს კომისია, რომელმაც ერთის თვის განმავლობაში უნდა წარუდგინოს თავისი დასკვნა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ს. საგვარელიძე, გრ. გ. გამრეკელოვი, დ. ბ. ხელთუფლიშვილი და ზ. კ. მაჭავარიანი. დასასრულ საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ.

დონ-გელიანი

დაბა-სოფლები

სოფ. ვანთა (კასპი). დარწმუნებული ვარ, ამ სოფლის სახელი ჯერ მკითხველს არც-კი გაუგონია. იგი მდებარეობს თელავიდან 13—14 ვერსის მანძილზე და გაშენებულია გომბორის მთის კალთაზე. ვანთაში 120 კომლამდე გლეხკაცია. წინად ცალკე ვანთა ბუშეტის სამამასახლისოს შეადგენდა და, როგორც თვით მცხოვრებნი განაცხადებენ, სამჯობინარო იყო იმათთვის, რადგან მამასახლისი აქაური იყო, სოფლის სასამართლოც იქვე სოფელში ჰქონდათ, საქმისთვის წასვლა არსად უნდოდათ და ხელად მოისაქმებდნენ. 1900 წლიდან-კი ეს სოფელიც შეუერთეს წინანდლის სამამასახლისოს. საქმე რომ გვინდოდეს ვისმე, ვერც-კი მივდივართ. 4—5 ვერსის გავლა, მოსაქმება და უკან დაბრუნება ბევრ დროს გვართმევს და ვცდებითო. სოფლებს რომ აერთებდნენ, გვაიმედებდნენ, ერთი მამასახლისი გეყოლებათ და ხარჯი ძლიერ შეგიცოტავდებათო, ის-კი არა თუ ხარჯი მოგვემატა.

წელს სიმინდს ამინდმა ხელი შეუწყო და კარგია. ვენახები სრულად დაისეტყვა, ბოლოზე-კი გადარჩა, თუმცა აქაც მოეხვდა. ვინც-კი წამლით და მოვლით ხელი შეუწყო, მოსავალსაც კარგს მიიღებს. ყურძენი მომწიფდა თუ არა, ღამის რაინდები აიშვნენ და დაიწყეს პარვა. საერთოდ-კი ქურდობა აქეთ ძვირი არ არის. 29 აგვისტოს მცხოვრებნი ერთად შეიყარნენ მოსალაპარაკებლად. ნაცვლის შარვაშიძის რჩევით ასე დაადგინეს: ყოველ ღამე ათ-ათ კომლიდან თითო ყარაული დაინიშნება 4 სოფელში და 6 ბოლოზე. ათ-ათ კომლის უფროსად დაინიშნება თითო კაცი, რომელთაც ყარაულები უნდა დანიშნონ და შეატყობინონ ხოლმე, ვისიც ჯერია. ყარაულებმა თვალ-ყური უნდა დაიჭირონ, რომ არაფერი დაიკარგოს და ვენახებიდან ყურძენი არ მოიპარონ. თუ ვინიცობაა, ყარაული დანიშნულ ჯერზე არ გამოვიდა, მაშინ 1 მან. ჯარიმას გადაახდევინებენ. თუ ეს შეასრულეს, ქურდობას მალე ფეხი მოეჭრება.

გან—ილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

სუვალკი. სუვალკის ტრიბუნალის თავმჯდომარედ ნამყოფის ნესტოვიჩის ხარჯით აქ პირველი ლომბარდი გახსნეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვის.

ბახმუტი. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან გაგზავნილნი, ტყის საქმის მცოდნენი ბახმუტის მაზრაში ხევების გამაგრებას ასწავლიან ხალხს.

პეკინი. პრინცმა ცინმა გამოუცხადა ელჩებს, რომ რუსეთის ახალი პირობა მანჯურიიდან ჯარის გაყვანის შესახებ მეტად ზომიერ პირობად მიმაჩნიაო.

ეკატერინოსლავი. ერობა გასამართებელ კურსებსა ჰმართავს ფელდშერებისა და ნასწავლ ბებიებისათვის.—კერძო ელექტრო-ტეხნიკური კურსები გაიხსნა.—საქალაქო ღამის თავშესაფარ სახლის აგება დაიწყეს.

მოსკოვი. გლეხები ძლიერ ხალისიანად დადიოდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე; სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ყურადღებით ათვალიერებდნენ და სასოფლო-მეურნეობის ლექციებს ბეჯითად ისმენდნენ.

ათინა. სათემო არჩევნების გამო აქ დემონსტრაცია მოახდინეს. 14 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს.

რომი. მეფე და დედოფალი 1 (14) ოქტომბერს პარიზს წავლენ და იქ 5 (18) ოქტომბრამდე დარჩებიან. გარეშე საქმეთა მინისტრი მორინიც მეფე-დედოფალს გაჰყვება.

სტამბოლი. დღეს ვალების [გაერთიანების შესახებ შედგენილ აქტს ხელი მოაწერეს. პორტამ და „დეტ პუბლიკ“-ის თავმჯდომარემ ერთმანერთს შესაფერი ნოტები მისწერეს.

პიატიგორსკი. ლერმონტოვის გალერეაში წყლების დირექტორმა რაუტი გამართა.

კლაგენფურტი. წყალდიდობის გამო ტარვისსა და პონტაფელს შუა რკინის გზის მოძრაობა 14 დღით მოისპო.

3 სექტემბერი.

კოსტრომა. დაიხურა შინა მრეწველთა მთავარი გამოფენა კინეშმაში 1 სექტემბერს, რომელსაც მოიარა 7 ქალაქი და 55 სოფელი; გამოფენა დაათვალიერა 65,535 კაცმა.

არიოლი. ხელმწიფე-მემკვიდრემ გარდასცა სამეურნეო გამოფენის კომიტეტს ორი ვერცხლის ვაზა ექსპონენტებისთვის მისაცემად.

სოფია. პოლკოვნიკი ფიჩევი დაინიშნა სადიპლომატო აგენტად კონსტანტინეპოლში.—ღამე უცნობმა პირებმა ისარგებლეს იმ დროით, როდესაც ჟანდარმები ვაგზლის ახლო არ იყვნენ, და წაიღეს რამდენიმე თოფი.—ოპოზიციის პარტიები შეთანხმდნენ, რათა ერთად იმოქმედონ მთავრობის წინააღმდეგ.—მინისტრებმა გადასწყვიტეს არჩევნების დროს იმოგზაურონ და გააქარწყლონ შეერთებული ოპოზიციის მეცადინეობა.

კონსტანტინეპოლი. ხუთი დღის კარანტინი სირიის განაპირა ადგილების ხურსათებზე გაავრცელეს აგრეთვე სირიის ჩრდილოეთ ნაწილიდან პაიასამდე.

პარიზი. აბისინიაში ელჩად ნამყოფი ლაგარდი ლისაბონში დაინიშნა ელჩად.

სოფია. სათადარიგო ჯარის ერთის ნაწილის გამოწვევას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს: გამოწვეულია სავარჯიშოდ სამი კვირის ვადით. სოფიასა, პლოვდივისა და სლივნის ოლქებში ძლიერი აღელვება სუფევს იმის გამო, რომ ბოლგარიის საზღვარზე დიდი ჯარი მოგროვდა ოსმალეთისა.

ბელგრადი. ტყუილია ის ხმა, ვითომც ხალხს განზრახვა ჰქონდა შაბათ ღამეს ციხეს თავს დასხმოდა და დაპატიმრებული ოფიცრები განეთავისუფლებინა.

სამხედრო სასამართლო ამ დღეებში შეიკრიბება.

სოფია. მთავრობამ გამოიწვია სათადარიგო ჯარის ერთი ნაწილი, რათა უკეთ უგდოს ყური საზღვრებს და ხელი შეუშალოს მეამბოხეთა გადასვლას მაკედონიაში.

მთავრობა დეპეშით აცნობებს თავის აგენტებს პეტერბურგსა, პარიზსა და ვენაში, მიაქციონ მთავრობათა ყურადღება ოსმალეთის გაძლიერებულ ამხედრებას. მინისტრი პეტროვი იმუქრება, რადგანაც ბოლგარია უზრუნველყოფილი არ არის ოსმალეთის მხრივ თავდასხმისაგან, ამიტომ ბოლგარიის მთავრობა იძულებული გახდება მიმართოს იმგვარ ღონისძიებათ, რაგვარსაც თხოულობენ დღევანდელი დიდმნიშვნელოვანი გარემოებანი.

პეტერბურგის ბირჟა 2 სექტემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინისაზე 100 მარკაზი	—
პარიზისაზე 100 ფრანკზი	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,47$\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	5-6$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	99$\frac{1}{2}$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა	95$\frac{3}{8}$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადვ.-მამ. ბანკისა	288 მყიდ.
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადვილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4$\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სადვილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91$\frac{3}{4}$ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციო	189$\frac{1}{2}$ „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

სურათებით, წინასიტყვაობით და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქმნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად. (3—უ.—2)

გუტტენბერგის

წიგნის მაღაზიაში

(სასახლის ქუჩა, სახლი ლალაევისა)

იყიდება

სასწავლო და სხვა წიგნები.

ვინც ერთად ბლომად იყიდის, ფასი დაეკლება. (2—149—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1903 წელს, 12 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბორანი მდ. მტკვარზე, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა.

ვისაც ჰსურს, პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა შეიტანოს ბე 1500 მანეთი. (5 2—1).

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1893 წ. 1-ლ სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს სოფ. წინამძღვრიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორი მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია 30 შეგირდისათვის სადგომი. ყველა საქმეს ამ სადგომისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს: ერთი წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველს სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანისამოსი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგომიდან გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგომის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельскохозяйственной школы. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. ვადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—222)

ცინკოგრაფია

ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ჯანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 873.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ 3 Сентября, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)